ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 47-ე წელი | № 292 (13676) | შაბათი, 24 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

• ახალი წლის მიჯნაზე •

ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებმა 23 დეკემბერს შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება. ტვირთნაზიდვის გეგმა 100,1 პროცენტით შესრულდა, აქედან ავტობუსის ტვირთნაზიდვისა — 103,9 პროცენტით და ტაქსომოტორის ტვირთნაზიდვისა — 104,6 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 1.960 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ავტომეურნეობებმა, რომლებმაც გამოიყენეს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემა. ხუთმა ავტო-სატრანსპორტო კანტორამ მოგვცა 964 ათასი მანეთი მოგება, მათ სახელმწიფო ბიუჯეტში გეგმის გადამეტებით შეიტანეს 386 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის ავტომეურნეობებში გაიშალა შეჯიბრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

(საქდესი).

ახალი შახტები, მაღაროები

ტყვარჩელის შახტი — ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი, რომლის მწარმოებლობა წელიწადში 450 ათასი ტონა ქვანახშირია, მარნეულის სამსხვრევ-სახარისხებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრე წელიწადში 100 ათასი კუბური მეტრი ღორღია, ჭიათურის ახალი მაღაროები და ტყიბულის შახტები — აი იმ საწარმოთა არასრული სია, რომლებიც წლის ბოლომდე ამუშავდებიან. ეს საწარმოები ააშენეს „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოებმა, რომლებმაც ხუთწლედის პირველი წლის პროგრამა ვადაზე თერთმეტი დღით ადრე შეასრულეს.

გარდა სამრეწველო ობიექტებისა, „საქშახტმშენის“ კოლექტივმა წელს ააშენა ორი სკოლა, სბავშვო ბაღი მარნეულში, პოლიკლინიკა-შახტა — ჰიდროელექტროსადგურის მუშებისათვის, 400-ადგილიანი კინოთეატრი ახალციხეში, საექსპლოატაციოდ გადასაცემად მოამზადა 18 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

„საქშახტმშენის“ სამმართველოთა შორის წლიური გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში თავი გამოიჩინეს ტყვარჩელის „შახტმშენმა“, „მარნეულმშენმა“, „ჩერდმშენმა“ და სხვ. (საქდესი).

საქართველოს კოოპერატორთა ნარმატება

საქართველოს სსრ მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირის — ცეკავშირის სისტემამ საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულა

ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელი, ქართველი კოოპერატორებიც თავდადებით იბრძვიან სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ბგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის. მათ ამ ბრძოლის გზაზე ხუთწლედის პირველ წელს ახალი გამარჯვებანი მოიპოვეს.

ლეკავშირის სისტემამ ვადამდე, 22 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საცალო საქონელბრუნვის გეგმა, მარშანდელთან შედარებით სოფლის მოსახლეობას წლის ბოლომდე მიეყიდება 46 მილიონი მანეთით მეტი დირებულების საქონელი.

საქონელბრუნვის წლიური დავალება ვადამდე შეასრულა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის თითქმის ყველა ორგანიზაციამ, მაგრამ ამ საქმეში მაინც განსაკუთრებით ისახელეს თავი აბაშის, ახალციხის, ჯარბანის, ონის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, წითელწყაროს, წყალტუბოს, ტყიბულის, ხობის და თეკლმა რიგმა სხვა რაიონების კოოპორგანიზაციებმა.

ცეკავშირის დამზადების მთავარმა სამმართველომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადება-შესყიდვის წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. გეგმის გადამეტებით შესყიდულია 5.644 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ნედლეული.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი სახეობიდან დამზადება-შესყიდვის წლიური გეგმები შესრულებულია: დაფნის ფოთლისა —134 პროცენტით, კვერცხისა —101,1, მატყლისა —107,6, მსხვილი ტყავისა — 102, ნაწლავნეიდლეულისა— 114,5 და შავი ლიეთონისა —102,8 პროცენტით.

წარმატებით ასრულებს კოოპერაციული მრეწველობა პროდუქციის გამომშვების დავალებებს. ცეკავშირის ტრესტ „საქკოოპმშენის“ სამმართველოებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა. მათ მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 116 ობიექტი, მათ შორის: რაიმაღაზია და სასურსათო მაღაზია —5, სოფლის უნივერმაღი —15, სოფლის მაღაზია — 35, საწკვების ობიექტი — 29, პურის საცხობი —11, მარნეულის ღუდ-უალკოჰოლო სასმელების ქარხანა წელიწადში 230 ათასი დეკალტრის წარმოების სიმძლავრით და სხვა.

ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციებში ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლების, სამეურნეო საქმიანობის სწორი ორგანიზაციისა და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვის შედეგად მოგების წლიური გეგმა უკვე 1-ლი ნოემბრისათვის შესრულებულია 112 პროცენტით და ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 2 მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველოს კოოპერატორები ახლა მთელ ძალღონეს აქცევენ მიმართავენ, რომ კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდ საიუბილეო თარიღს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

შრომის დისციპლინა

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა „ტულის ოლქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა შრომის სოციალისტური დისციპლინის აღზრდისათვის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებში“. დადგენილებაში მოცემულია ოლქის საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის დისციპლინის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, აღნიშნულია ყოველივე დადებითი, რასაც ტულის პარტიული ორგანიზაციები აკეთებენ შრომის სოციალისტური დისციპლინის აღზრდისათვის, გამოვლინებულია ხერხიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში. დადგენილებაში განსაზღვრულია გზები და მეთოდები მუშების და მოსამსახურეების აღზრდისა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, წარმოებაში მაღალი სოციალისტური ორგანიზებულობის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყველა ჩვენი საწარმოო კოლექტივისათვის, იგი მოქმედების სახელმძღვანელოს წარმოადგენს საწარმოთა და მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციებისათვის. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა ჩვენი ინდუსტრია იარაღდება მძლავრი ტექნიკით, როცა საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადადიან, იზრდება მოთხოვნები საწარმოო კოლექტივებისა თვითეული მშრომელისადმი. დისციპლინა და ორგანიზებულობა სულ უფრო მეტად ხდება ამის უმნიშვნელოვანესი პირობა, რომ ავამაღლოთ სოციალისტური წარმოების ეფექტიანობა, წარმატებით შევასრულოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომა, შრომის დისციპლინის უნაკლოდ დაცვა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ცხოვრების კანონი გახდა. შეიძლება დადასტურდეს ასობით საწარმო და მშენებლობა, სადაც პარტიული ორგანიზაციები, უნარიანად რაზმავენ რა მასებს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, ბეჯითად და ნაყოფიერად ზრდიან ადამიანებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

სოციალისტური დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად უდევს საზოგადოების წევრთა მტკიცე კომუნისტური რწმენა, თვითეული მათგანისათვის იმ გრძნობის ჩანერგვა, რომ იგი თავისი ქვეყნის პატრონია, გულისხმობს შეურიგებელ ბრძოლას წარმოებაში წესრიგის დარღვევებთან. ეს ბრძოლა იდეოლოგიური მუშაობის ნაწილია. მისი შედეგები უდიდეს გავლენას ახდენენ საწარმოო მაჩვენებლებზე.

ცხოვრებამ წამოაყენა ამ მუშაობის ბევრი სასარგებლო ფორმა და მეთოდი. მაგალითად, ლენინოგორსკის ტყვიის ქარხანაში (ყაზახეთის სსრ) რეგულარულად იმართება საუბრები მუშის ღირსების შესახებ, შრომის ვეტერანების შეხვედრები ახალგაზრდობასთან. შეჯიბრების მოწინავენი და შრომის ვეტერანები შეფობას უწევენ ახალგაზრდა მუშაკებს.

ПРАВДА

23 დეკემბრის მოწინავე

ზრუნვა შრომის დისციპლინისათვის აქ კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა მუშისა და მოსამსახურის ღვიძილ საქმე გახდა. და შემთხვევითი როდია, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ქარხანაა ფერად მეტალურგიაში.

მაგრამ საქმის ვითარება ყველგან ასეთი როდია. ავიღოთ მხოლოდ ერთი დარგი — ქიმიური მრეწველობა. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გაცდენების გამო ქარხნები ყოველდღე აკლებდნენ სახელმწიფოს მრავალი ათასი მანეთის პროდუქციას. ამ სახხრებით შეიძლებოდა მრავალი ახალი ტონა სუპერფოსფატის წარმოება. სახალხო მეურნეობის ხერხიოზულ ზარალს აყენებენ შრომის დისციპლინის დარღვევები მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებშიც.

საწარმოთა და მშენებლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უნდა გააცნონ თვითეულ მშრომელს, განიხილონ პარტკომების სხდომებსა და პარტიულ კრებებზე, ანალიზი გაუკეთონ შრომის დისციპლინის მდგომარეობას, დასახონ, თუ რა უნდა გაკეთდეს სანამუშო წესრიგის დასამყარებლად წარმოებაში, შეიმუშაონ ღონისძიებანი მთელი აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შრომის დისციპლინა ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად არის ორგანიზებული წარმოება, როგორ ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმები, როგორ არიან დატვირთული და გამოყენებული კადრები. შრომის სწორი ორგანიზაციის შენამება კარგად დაყენებულ აღმზრდელობით მუშაობასთან შრომის სოციალისტური დისციპლინის აუცილებელი პირობაა.

მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა ხელსაყრელ ეკონომიურ შესაძლებლობებს ქმნის იმისათვის, რომ ავამაღლოთ ორგანიზებულობა თვითეული კოლექტივის მუშაობაში. სამინისტროებმა და უწყებებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი, გაუამჯობესონ საწარმოთა და მშენებლობათა დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. უახლოეს ხანში კოლეგიების სხდომებზე გაანხილულ უნდა იქნას შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის გაუმჯობესების, საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი.

სამეურნეო ხელმძღვანელებს ნათლად უნდა ესმოდეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევების წინასწარი ღონისძიებებით თავიდან აცილებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ღონისძიებების უნარიანად გამოყენებას, შრომის კანონების ზუსტად დაცვას. მაგრამ არ შეიძლება სასჯელებით შეიცვალოს ყოველდღიური მუშაობა ადამიანებთან. შრომის დისციპლინის დარღვევის თვითეული შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ვამხილოთ საჯაროდ, განვიხილოთ კოლექტივში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი თვით მშრომელ მასებს ეკუთვნით. პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა ორგანოებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა ყოველი ღონისძიებით უნდა დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ მოწინავე მუშათა ინიციატივა წარმოებაში უმკაცრესი დისციპლინის დასამყარებლად. ამ მიზნით უფრო ფართოდ უნდა გამოიყენოთ ზეპირი პროპაგანდა, პრესა, კინო, რადიო, ტელევიზია.

საჭიროა ავამაღლოთ მუშათა კრებების მნიშვნელობა შშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ აღზრდაში. უფრო ხშირად უნდა გამოვკვლიოდეს კოლექტივთა განსახილველად ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, საწარმოთა საქმიანობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, საბჭოთა ადამიანის მორალური სახის საკითხები. შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი პატივსანი დამოკიდებულება თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი, მისი ქცევის ნორმა უნდა გახდეს.

დისციპლინისა და ორგანიზებულობის აღზრდის მძლავრი ფაქტორია სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. შრომის დისციპლინის დაცვა ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

მოდის საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდამეათე წელი. ემზადებიან რა ჩვენი სახელმწიფოს სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, საბჭოთა ადამიანები კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს. აძლიერებენ რეზერვების ძებნას. დაე ამ საერთო პატრიოტულ აღმავლობას ერთვოდეს შრომის საზოგადოებრივი დისციპლინის თანმიმდევრული განმტკიცებაც.

გულითადი შეხვედრები

◆ ა. ნ. კოსიგინი ანკარაში ◆ ა. ნ. კოსიგინმა სადილი გამართა თურქეთის პრემიერ-მინისტრ დემირელის პატივსაცემად ◆ საბჭოთა სტუმრები ანკარის ოპერისა და ბალეტის თეატრში ◆ ა. ნ. კოსიგინი იზმირში ჩავიდა.

ანკარა, 22 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ანკარიდან ნაშუადღევს ჩავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინის ოფიციალურ სტუმრობაზე. ანკარის ოპერიასა და ბალეტის თეატრში ა. ნ. კოსიგინი ერთად ადგებოდეს ურთიერთნდობის ატმოსფეროში და ეკონომიური თანამშრომლობის მოთხოვნების შესაბამისად. განსაკუთრებული აღფაფოლებით შემოძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი შეხვედრებიც ამ მიზანზე ერთმანეთს ემთხვევა.

სადილმა გულთბილობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ანკარა, 23 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ სპექტაკლს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად გაიმართა ანკარის ოპერიასა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. დამსწრენი ტაშით შეხვდნენ თეატრში ა. ნ. კოსიგინსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს.

საბჭოთა სტუმრებს უჩვენეს ნაწყვეტები ოპერა „ტოსკადან“ და ბალეტ „ბედის ტბიდან“, აგრეთვე თურქული ბალეტი „წყაროსთან“.

ანკარა, 23 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი თურქეთის მთავრობასთან ოფიციალური მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ანკარიდან გაფრინდნენ იზმირში, რომელიც თურქეთის მესამე ქალაქია სიდიდით და მისი უდიდესი ნავსადგურია ეგეოსის ზღვის სანაპიროზე.

კოსიგინს ახლავან თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იჰსან საბრი ჩაგლიანგილი და თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ჰასან იშიკი.

ანკარის ესენბოგის აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი, მინისტრთა კაბინეტის წევრები, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები. დიპლომატიური კორპუსის მეთაურები, აგრეთვე თურქეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები.

იზმირი, 23 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილის 12 საათზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი ჩამოვიდნენ იზმირში — თურქეთის რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქში. აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ იზმირის გუბერნატორი ნამიკ ქემალ შენთურქი, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ოსმან ქიბარი, ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე ჩამწკრივდა საპატიო ყარაული. ა. ნ. კოსიგინი მიესალმა იმ პირებს, ვინც მას შეხვდა, ჩამოუარა საპატიო ყარაულს, შემდეგ კი გაემგზავრა საბჭოთა სტუმრებისათვის განკუთვნილ რეზიდენციაში.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ალმებით მორთული ქუჩები საოცარ იყო მცხოვრებლებით, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს.



რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

მოსკოვი. რუსეთის სფსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ, რომელიც ორ დღეს მუშაობდა კრემლის დიდ სასახლეში, 23 დეკემბერს დაამთავრა თავისი მუშაობა.

რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვის გამო გამართულ კამათში გამოვიდა 24 ორატორი.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების, 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე დადგენილება, რომ დამტკიცდეს რუსეთის სფსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სესიამ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია მიხეილ ალექსის ძე იასნოვი.

დამტკიცდა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომელიც სესიებს შორის განვლილ პერიოდში მიიღეს. (საქდესი).

მომსახურეგის დარგის ახალგაზრდა მუშაკთა პირველი რესპუბლიკური შეკრება

23 დეკემბერს თბილისში ჯაბართა მომსახურების დარგის ახალგაზრდა მუშაკთა პირველი რესპუბლიკური შეკრება. შეკრებაზე მოვიდნენ ვაჭრობაში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, საყოფაცხოვრებო სამსახურსა და სამგზავრო ტრანსპორტზე დასაქმებული ქალიშვილები და ჭაბუკები.

მოხსენება „რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის როლის ამაღლება მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში“ გააკეთა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერქეზიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი ფ. დუმბაძე, ბათუმის ნავსადგურის კეთილი სამსახურის ბიურის მუშაკი ლ. ჯიბლაძე, თვითმფრინავტუ-104-ის ბორტგამყოლი ი. დალაქიშვილი, კომკავშირის გაგრის რაიკომის მდივანი ვ. ცომაია, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ჯინჭარაძე, ქალაქ ქუთაისის ავტობუსის მძღოლი ზ. ჭელიძე, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის უფროსი გამყიდველი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ი. ჯალაბაძე, ქალაქ თბილისის № 44 საპარიკმახეროს ხელოსანი ნ. ასტაშკინა, თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ნეფედოვა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახურის უფროსი ა. ჭიკაშვილი.

მომსახურების დარგის ახალგაზრდა მუშაკთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ აზერბაიჯანის ახალგაზრდობის სახელით — ქალაქ ბაქოს კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ნ. მამედოვი, სომხეთის ახალგაზრდობის სახელით — კომკავშირის ერევნის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ვ. ტუნიანი.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც მოუწოდეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამგზავრო ტრანსპორტის ყველა ახალგაზრდა მუშაკს გააჩაღონ შეჯიბრება მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურისათვის.

რესპუბლიკურმა შეკრებამ აირჩია ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამგზავრო ტრანსპორტის ახალგაზრდა მუშაკთა სრულიად საკავშირო შეკრების დელეგატები.

მომსახურების დარგის ახალგაზრდა მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. ჩოგოვაძე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია გაიხსნება 1966 წლის 27 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 24, ტელეფონები 9-08-54 და 9-58-19.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 27 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

თურქი მეცნიერი საქართველოში

„ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა გამოკვლევები დიდად საინტერესოა მსოფლიო მეცნიერებისათვის“, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ანკარის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ენინ ბილგიჩმა. იგი მეთაურობს თურქ მეცნიერთა ოფიციალურ დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით. დელეგაციაში შედიან პროფესორი ეკრემ ჯაურგალი და დოცენტი ბალუკ ყარამანლარალი.

საქართველოში თურქი მეცნიერები გაეცნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტების, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობას. მცხეთაში მათ დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები. უცხოელმა მეცნიერებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თბილისის მუზეუმები. პროფესორმა ენინ ბილგიჩმა ყურადღება მიაქცია, რომ საქართველოში ფართოდაა გაჩაღებული არქეოლოგიური მუშაობა. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობა დიდად ზრუნავს კულტურის ძეგლთა დაცვისათვის.

23 დეკემბერს თურქ მეცნიერთა დელეგაცია, რომელიც განაგრძობს საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, ტაშკენტს გაფრინდა. (საქდესი).

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲭᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲘᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲨᲢᲐᲛᲞᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡᲙᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲪᲮᲝᲠᲒᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲭᲛᲔᲓᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲐᲑᲐ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲣᲓᲛᲐ ᲔᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲐᲠᲘᲐᲠᲘ.

ᲣᲧᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ 144 ᲙᲐᲪᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡᲔᲜᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲗᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲝᲤᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲟᲘ ᲘᲗᲕᲚᲘᲡᲐᲜ 1903 ᲓᲐ 1905 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲙᲝᲛᲗᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲭᲝᲚᲝ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲜᲝᲡ ᲒᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ „ᲥᲕᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ“.

ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ. ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲧᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ ᲛᲝᲚᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲜᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲨᲔᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ ᲛᲝᲚᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲨᲔᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ ᲛᲝᲚᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ანა ანტონოვსკაია, გორის ჩორნი

მ ყ ო ვ ნ ე ლ ე ბ ი: ანა ანტონოვსკაია და გორის ჩორნი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით წერენ მოთხრობას ლენინზე. ფრაგმენტი „გ ა ნ თ ი ა დ ი მ ბ ა კ ვ ა რ ზ ე“, რომელსაც ვაქვეყნებთ, ასახავს ლენინის მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და განსამტკიცებლად საქართველოში.

ნამუშევარია მოსკოვის კოლეგიამომცემლობის მიერ ამ ფრაგმენტის შეტანა „ლენინიანას“ მე-5 ტომში — „ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს“.

მე შევესწარი! მე ვარ დამხდური!
მე მინახია... ჩვენში ყოფილა?
განა ის ყველას ქოხში არ იყო,
ოიცა ხალხს ბნელი დაამხობინა?
ის მეც მიცნობდა, მას ვ ეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით
ხელი სამშვლად გამომიწოდა.

გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე.

ე ქ ვ ს ფ ე რ ი შემოდგომა ილეოდა. დამჭკნარი ფოთლები ცვიოდა და ქვაფენილზე შრიალებდა. ნოემბერი ცას აციებდა, მაგრამ შავბნელ ღრუბლებს ქარი განზე მიერეკებოდა, სინათლე თანაბრად ეფინებოდა ქალაქდების ყდას, „ცოცხალი ცხოვრებით რომ სულდგმულობდა“.

ამ დილით გამაძლიერებლიანი ტელეფონი კარგად მუშაობდა და ლენინი ხმის დაუძაბავად ლაპარაკობდა:

— ჰოდა, გიორგი ვასილის-ძევ, მენშევიკური საქართველოს მმართველებს კეთილი ცხოვრების გამო როდი გამოუცხადებიათ ომი ბოლშევიკთა მობილიზაცია.. დიახ, დიახ, სწორედ თორმეტი ასაკისა. ამასთან დაკავშირებით სიღატაკის კარს მიმდგარი გლეხების დგომარეობა, უნდა იცოდეთ, სრულიად აუტანელი გახდა... მაშასადამე, კიროვმა უკვე შეიტანა შეკითხვა მობილიზაციის მიზნების შესახებ? ძალიან საინტერესოა, რას უპასუხებენ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს ბატონი გეგეჭკორი და ძმანი მისნი... დიახ, დიახ, ველოდები დადასტურებას...

ჩიჩერინთან ლაპარაკი რომ დაამთავრა, ტელეფონტზე აღნიშნა: „კიროვი, შეკითხვა“, ბუოცელი ამოხია და ყურადღებით მოავლო თვალი მაგიდას და მთელ მის „არსენალს“. მაგიდა „დაბეჯითებით“ იყო მზად მუშაობისათვის. აი სქაღალდეები სასწრაფო, არასასწრაფო, დიდმნიშვნელოვანი, ნაკლებმნიშვნელოვანი, გადათვალიერებული, გადაუთვალიერებელი ქაღალდებისათვის. გახსნა ყდა „ცოცხალი ცხოვრებით რომ სულდგმულობდა“, ესე იგი მიმდინარე საქმეების ყდა, რომელსაც ეწერა: „საქართველო. 1920 წელი“, და შიგ ჩადო ის ფურცელი.

ფანჯარასთან კასრში პალმა ხარობდა. მის ფოთლებში კოშკებზე კიდევ მოჩანდა იმპერიორის არწივები.

ვლადიმერ ილიას-ძემ აიღო ჭიქა, რომელიც ჩაი თითქმის გაციებული იყო, ფანჯრის ფაფუნე დადგა და მაშინასლურად მოურია.

მაშ ასე, იმპერიალისტები აშკარად აჩქარნენ. ოღონდაც! „ბალი“ დამთავრდა. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. გაიფანტა კვამლი ოეისერისა, ვრანგელი რომ გაქანა, და კვამლთან ერთად გაქრა ილუზიებიც.

ჩაფიქრებულმა ლენინმა თვალი შორეულ ფერცს მიაპყრო.

იქ მძიმედ იმართებოდა წელში რუსეთი. ველაფერი ხელახლა უნდა დაწყებულიყო, ველაფერი, საითაც უნდა გაგეხედა.

კურანტები ზეიმოვნად და მტკიცედ უკრავდნენ ინტერნაციონალს მაცხოვრის კოშკზე.

საქართველო სულ უფრო მეტ ყურადღებას ყრობდა. პირადი ბიბლიოთეკარი რეგულარულად აწვდიდა მის სახელზე მოსულ თბილისურ გაზეთებს, წიგნებსა და ახლა, მორიგს ას რომ გადაჰხედა, ხაზი გაუსვა და მიაწოდა: „დიახ, გთხოვთ ყველაფერი მომაწოდოთ“.

იგი მიეიდა თავისი კონსტრუქციის მოძრავ ოუკასთან. ამ მისი შენიშვნებით აკრეფილ-ბეჭდილ რუკამ ზუსტად, როგორც სარკეში, ასახა საქართველოს მთელი ბეჩავი სინამდვილე. ოდიღლოეთ კავკასიაში მან წითელი ფანქრით ზი შემოუსვა თეთრგვარდიელთა ამასწინანდელ ფორპოსტს — კავკავს, კასპიის ზღვაზე ბაქოს, სადაც იმ დროს მუსავატისტები ბატონობდნენ. მენშევიკური საქართველოს ართველებს თავი რეალურ პოლიტიკოსებად ეჩნდათ. ისინი მანევრებს აკეთებდნენ. საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებაკენ იხრებოდნენ — საფრთხე ხომ აღმოსავლეთიდან ახლოვდებოდა — თანაც დასავლეთს ეტოლებოდნენ.

იგი უდეპეშებდა:

„თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ, ცხადია, რომ ბედობა საქართველოსთან გამორიცხული არ არის. ეყოვნებლივ შემატყობინეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ“.

ორჯონიკიძესა და კიროვს პასუხი არ დაუგვიანებიათ:

„აჯანყების რაიონია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხის მხარე, აფხაზეთი და თითქმის მთელი ოიხის გუბერნია“.

სამშვიდობო ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა. ძირითადი მიზანი დასახული იყო ეამბულში:

„დამყარდეს ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და ბედობიანი თანაცხოვრება ორივე ქვეყანაში მოსახლეობის საკეთილდღეოდ“.

რას ესწრაფვოდა იგი, ლენინი? იმის გარანტიას, რომ მენშევიკური საქართველო ამიერდან აღარ მიიღებდა მონაწილეობას გამოსვლებში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და, ბოლოს, მოხერხდებოდა ქართველი კომუნისტების დაცვა დევნისა და რეპრესიებისაგან მენშევიკური რეჟიმის მეთაურთა მხრივ.

მაგრამ ფარისევლურად განამტკიცეს რა თავიანთი „ზეციური“ ბეჭდით („შუბოსანი ძლევამოსილი გიორგი მაღალი მთით ძიელტვის ვარსკვლავთ“) ხელშეკრულების 16 მუხლი, მენშევიკური საქართველოს მმართველნი უაღრესად „მიწიერ“ საქმეებს შეუდგნენ.

ყდაში, რომელიც „ცოცხალი ცხოვრებით სულდგმულობდა“, იგი ინახავდა სულ ახალ-ახალ დოკუმენტებს, ცრუდემოკრატიებს — მე-2 ინტერნაციონალს რომ ამხილებდა.

ასე, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-5 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ საქართველო კისრულობს: „მიიღოს ღონისძიებანი, რათა საქართველოს ტერიტორიიდან, იმ ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების 1-ლ მუხლში, გააძეოს ყოველი გვარეობის ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც საქართველოს მთავრობის ჯარების შემადგენლობაში არ შედიან“.

კიროვმა კი, რუსეთის ფედერაციის პირველმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, უკვე 9 ივნისს აცნობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს:

„...მთავრობა არ ჩქარობს ხელშეკრულების შესრულებას... ბათუმის ოლქი ინგლისელების ხელშია; მიუხედავად ვადის მოახლოებისა, მათი წასვლის არავითარი ნიშანი არ არის. ინგლისელთა განზრახვა ოფიციალურად გარკვეული არ არის, მაგრამ დიდი სახმელეთო და საზღვაო ძალების არსებობა ბათუმში გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ არსებობს აგრესიული გეგმები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს საქართველოზე გავლით. იქნებ ამით აიხსნებოდეს საქართველოს მთავრობის ლოდნინს პოლიტიკა. ცნობები ბათუმში ინგლისელთა ძალების შესახებ: ქვეითი ჯარი 15 ათასამდე, ბრიტანეთის ორი დრედნოუტი, ორსაკომფორიანი ორი კრეისერი, საფრანგეთის ერთი ექვსსაკომფორიანი კრეისერი, აშეროკის ერთი კრეისერი, ოთხსაკომფორიანი, იტალიის ერთი ორსაკომფორიანი კრეისერი, საბერძნეთის ერთი ხუთსაკომფორიანი კრეისერი; გარდა ამისა, ბევრია ნაღმოსანი. ერთ-ერთ დრედნოუტზე ადმირალია. გემებზე არიან საზღვაო ქვეითების რაზმები 7 ათასამდე. ცხენოსანი ჯარი არ არის, ქვეით ჯარისკაცთა შორის არიან საფრანგეთის შავკანიანთა ნაწილები“.

მენშევიკურ მთავრობას თავი კვლავ რევოლუციურ მთავრობად მიაჩნდა.

პოლიტიკურ სამზარეულოს უხვად აქვს ნაირფერი კერძები, ყველაფერი თავის დროზე.

აი 1918 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა კრებამ ბერლინფრსაწებლიანი ტორტი მოინატრა. ასეთ შეზავებას შეეძლო ყოველნაირად შეეწყო ხელი საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხთა უმტკივნეულოდ გადაჭრისათვის. ხოლო პუნშის ნაცვლად გადაწყვეტილი იყო „ეთხოვათ გენერალ ფონ-ლოსოვისათვის მიეღო სათანადო ღონისძიებანი, რათა გერმანელ ჯარებს განეგრძოთ თავიანთი გზა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და იმდენად მიახლოებოდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათთან კონტაქტის დამყარება და საქართველოს უზრუნველყოფა გარეშე საფრთხისაგან“.

ოკუპანტებმაც მოახლოება არ დააყოვნეს. „ზერ გუტ!“ — თქვა პრეზიდენტმა.

გერმანიის ჯარების შტაბი „პალას-ოტელში“ მოთავსდა. ტელეფონები. ლიფტები. აბაზანები. რესტორანში — აღმოსავლური მუსიკა. რუხი მუხდირებით და ფოლადის ჩაჩქნებით გამოწყობილმა ჯარისკაცებმა საგანგებო ზუსტი მწყობრით ჩაიარეს მიხეილისა და გოლოვინის პროსპექტები. სასახლის წინ, მეფის ნაცვლის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ყოფილი რეზიდენციის წინ სამხედრო ორკესტრი ყოველდღე და კოლოსალურად უკრავდა „ვახტ ამ რაინის“ ტიპის პრუსიულ მარშებსა და შტრაუსის ვალსებს. კაპელმაისტერი ეფექტიანად იქნევდა თეთრთათმანიან ხელებს.

ნაკლები ტაქტით „უკრავდნენ“ გერმანელები ბორჩალოს, დუშეთის, გორის მაზრებში, თეთრ წყაროში და ბევრ სხვაგან, სადაც ხალხი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. იქ ისინი სარდლის, გენერალ ფონ-კრესის ბრძანებით მუსიკალურ პაუზებს ავსებდნენ კონტრიბუციით, რეკვიზიციით, ეგზეკუციით. მგლები ტყეებში მიიმალნენ, მათ ნაცვლად კი დაძრწოდნენ შავ-თეთრჯვრიანი ჯავშნოსნები.

ფოთის ნავსადგურიდან ოკუპანტებს განუწყვეტლივ გაჰქონდათ მანგანუმი. თოვლიანი თეთრი გემის „გენერლის“ კაპიტნის ბოგურიდან აუღელვებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს დატვირთვას თეთრთათმანიანი ოფიცერი.

მანგანუმის შავი მტვრით გამურული ჭიათურაში შავი ქვის მრეწველობის მუშები გაიფიცნენ.

ოფიცერი კვლავ აუღელვებლად იდგა ბოგურაზე.

მადა ჭამაში მოდისო, — მართალს ამბობენ ფრანგები. გერმანული გემების ტრიუმები სულ უფრო მეტ მანგანუმს ყლაპავდნენ. ამისთვის შეიძლებოდა უფასოდ გეცქირა. ასეთი სეანსი კომუნისტებს არ მოსწონდათ. „ინებეთ, დაეთანხმა ფონ-კრესი, ჩვენ შეგვიძლია გაგამართოთ სხვანაირი, არა ნავსადგურში, არამედ მეტეხის ციხეში!“ და გაუმართა.

11 ნოემბერს დაპატიმრებულმა ბოლშევიკებმა შიმშილობა გამოაცხადეს, ფონ-კრესი დათანხმდა. „ინებეთ! მთავრობას შეუძლია ამით კერძი გაუდიდოს დარაჯებს“.

ს წ ო რ ე დ ამ დღეებში აღნიშნა ვლადიმერ ილიას-ძემ, რომ „კავკასიაში ჩვენი ამხანაგების, კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, იმიტომ რომ მათ ყველგან გამცემლობდნენ მენშევიკები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით პირდაპირი კავშირი დაამყარეს გერმანელ იმპერიალისტებთან“. და როცა იგი ამხილებდა ყვითელი მთავრობის საქმიანობას და ააშკარავებდა საქართველოს „დამოუკიდებლობის“ ნამდვილ ხასიათს, მისი სახე გამოხატავდა იმ უკიდურეს შეურიგებლობას, რის წინაშეც იარაღს ყრიდნენ მტრები, მის ხმას კი ენიჭებოდა განსაკუთრებული, მისთვის ჩვეული მგზნებარება.

„საქართველოს ეს დამოუკიდებლობა, — აღნიშნავდა იგი, — გადაიქცა პირწმინდა სიცრუედ, ნამდვილად კი ეს არის ოკუპაცია, საქართველოს სრული დაპყრობა გერმანელ იმპერიალისტთა მიერ, მენშევიკური მთავრობის კავშირი გერმანელთა ხიშტებთან ბოლშევიკ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ“.

მაგრამ... ფორს მაჟორი! გერმანიაში რევოლუციაა! 9 ნოემბერია! ვილჰელმ II-ემ გერმანიაში დატოვა აპრეხილი ულვაშები და ჰოლანდიაში გაიქცა. გერმანელთა ჯარები არ დაიბნენ, პრეზიდენტის ნაირფერი სურვილების მოსმენით საქართველო დატოვეს.

არც პრეზიდენტი დაბნეულა. მან უფლებამოსილებათა აღჭურვა პარლამენტის წევრი დ. თოფურიძე მაშინვე დაეწყო მოლაპარაკება ანტანტის სახელმწიფოებთან. საქართველოს ასპარეზზე გერმანული ფონის ნაცვლად ინგლისური ნისლი გაჩნდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა, რომელიც „აღფრთოვანებული იყო სურვილით ემუშავნა მოკავშირეებთან თანხმობით და მოკავშირეთა მიერ გამოცხადებული უფლებისა და სამართლიანობის პრინციპების განხორციელების მიზნით“, 24 დეკემბერს თანხმობა განაცხადა გაემართათ ახალი „პარად, ალე!“.

თბილისში შემოვიდნენ „ალბიონის შვილები“ — ქვეითი ჯარის ბრიგადა, საარტილერიო ბრიგადა, 1.800 ცხენი.

ხაკისფერი მუნდირებით და მეფისღერბიანი ქუდებით გამოწყობილმა ქვეითმა ჯარმა საგანგებო კორექტულობით ჩაიარა მიხეილისა და გოლოვინის პროსპექტებზე.

ვორონცოვ-დაშკოვის სასახლის წინ ინტერვენტთა გაერთიანებულმა სამხედრო ორკესტრმა თავაზიანად შეასრულა ჰიმნი: „მართე, ბრიტანეთო, მართე!“

ინგლისის სამხედრო მისია თბილისში მოთავსდა ჰოტელ „მაჯესტიკში“. ტელეფონები, ლიფტები, აბაზანები. რესტორანში აღმოსავლური მუსიკა. ქალაქის მთავარი, გოლოვინის პროსპექტის პატარა აივნებზე კი ჯარისკაცები საცვლებს გამოკიდებდნენ ხოლმე. პროსპექტზევე, ვორონცოვის სასახლეში მოთავსებული იყო დამფუძნებელი კრება, მენშევიკური საქართველოს უმაღლესი ორგანო, ასე ვთქვათ, პარლამენტი. ფლაგშტოკზე ფრიალებდა სახელმწიფო დროშა გიორგი ძლევამოსილის გამოსახულებით. სტილიზებული ტაიჭი ღრუბზე ოდნავ ეხებოდა მთის წვეტს. ინტერვენტები თავაზიანობით ტაიჭს ჩამორჩებოდნენ. ისინი ეხებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა საქმეს. საქმეები კი ბევრი იყო. და ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, ნავთობი იყო.

თანაც, ამ მაგისტრალური ოპერაციის წარმატებას ყოველნაირად უწყობდა ხელს თვით მენშევიკური მთავრობა. დაიგიწყა რა შეთანხმება გერმანელ იმპერიალისტებთან, იგი მზად იყო რადაც უნდა დასჯდომოდა მოეპოვებინა ინგლისელ იმპერიალისტთა მფარველობა.

ოღონდაც! დარწმუნდა რა, ბოლოს, ბოლშევიკების ხანგრძლივობასა და ლენინის სიტყვების სიმტკიცეში, გეგეჭკორი 1919 წლის 4 სექტემბერს უორდროპს ეუბნებოდა:—საქართველოს მთავრობას, სერ, შეგნებული აქვს, რომ უნდა დაეყრდნოს რომელიმე მტკიცე ორგანიზმს, და ამ შეგნებამ გვიკარნახა, სერ, გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე.

ინგლისის უმაღლეს კომისარს პირიდან ჩიბუხი არ გამოუღია.

— ... რა თქმა უნდა, სერ, ჩვენ ვიცით, რომ ასეთი დახმარება შეერთებული სამეფოს მხრივ რაიმე მიმართულებით უნდა იქნას ანაზღაურებული. სამწუხაროდ, სერ, დღემდე ვერ მიგვიღია ჩვენთვის ესოდენ საარსებო საკითხის პასუხი.

ჩიბუხი უკვე მაგიდაზეა და ბოლავს, ვით ქვემეხის ლულა გასროლის შემდეგ.

— მე რეზიუმეს ვუკეთებ ჩემს ნათქვამს, სერ: შექმნილ ვითარებაში საქართველო დაუხმარებლად თავს ვერ დააღწევს ამდენ განსაცდელს, იგი დახმარებას სთხოვს ინგლისს და სურს იცოდეს, თუ ინგლისი რას მოითხოვს სანაცვლოდ.

ინგლისმა მოისურვა ნავთობსადენი. „ოლ რაიტ!“ — თქვა პრეტენდენტმა, მენშევიკურ მთავრობას თავი რევოლუციურ მთავრობად მიაჩნდა.

სერ უორდროპი კეპსტენ „ავიატორს“ ეწოდა. ღელვისა და თაფლის არომატი, შეზავებული თამბაქოს სუნთან, ცისფერი ღრუბლივით იცურებოდა ოთახში და თავს ოდნავ აბრუებდა. ეს ხელსაყრელი იყო.



ვ. ი. ლენინი 1903 წელს—გამოჩენილი მოქანდაკის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის იაკობ ნიკოლაძის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია. საჭრისის ცნობილმა ოსტატმა იგი 1947 წელს შექმნა. ი. ნიკოლაძეს ამ ნამუშევრისათვის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა.

საქართველოში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში, საჭირო იყო მთელი კონტროლის ხელში ჩაგდება. სერ უორდროპმაც არ დააყოვნა ასე ექცა, და კიდევაც ჩაიგდო. დაუმორჩილა რა საქართველოს მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება მეფის გვირგვინის ინტერესებს, ესე იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, უზრუნველყო რა თავი პურით, ახლა შეიძლებოდა გადასულიყო რომის კლასიკური ფორმულის მეორე ნაწილზე — სანახაობაზე. ოპერის მომღერალი ქალი საბანე

ილო მოსაშვილის დაბადების 70 წლისთავი

მუზეუმი ქვეყნის მეხსოვრებაში

სამოცდაათი წელი არც თუ იხე დიდი ასაკია. რამდენი მაგალითი იცის ლიტერატურის ისტორიამ, როდესაც სწორედ ამ ასაკში იწერება ყველაზე საუკეთესო სტრიქონები, მხატვრული შედევრები. ილო მოსაშვილს კი თორმეტი წლის წინათ გააგდებინა სიკვდილმა კალამი ხელიდან.

გუშინ საღამოს თბილისის საზოგადოებრიობამ თავი მოიყარა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, რათა კიდევ ერთხელ გამოეხატა თავისი პატივისცემა და სიყვარული თანამედროვე ქართული ლიტერატურის უფროსი თაობის წარმომადგენლის, სიტყვის გამოჩენილი ოსტატის ილო მოსაშვილისადმი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. ყოველი საქმე, მათ შორის მწერლობაც, — თქვა მან, — დიდი და ძნელია, თუ მას მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მიუდგები კაცი. ილო მოსაშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთაც ესმით ჩვენი ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა, მისი რთული და საპატიო ამოცანები. იგი ჯერ კიდევ რევოლუციამდე ეზიარა ქართულ მწერლობას, ხოლო ოცდაათი წლებიდან მტკიცედ ჩადგა ლიტერატურის სამსახურში.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა აღნიშნა ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც ი. მოსაშვილმა შეიტანა ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების საქმეში.

განსვენებული ილოს ნაწარმოებებს, — თქვა ბ. ჟღენტმა, — სათანადო ადგილი უჭირავთ ქართველი მკითხველის წიგნის თაროებზე. თუ თანამედროვე მწერლობას უწერია პირნათლად წარსდგეს თაობების წინაშე, რაშიც არცერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, ილო მოსაშვილის შემოქმედებას მაშინაც საპატიო ადგილი დაეთმობა.

— ილო მოსაშვილი მე მიმაჩნია ჩემს ერთ-ერთ პირველ მასწავლებლად, — თქვა მწერალმა მიხეილ მრევლიშვილმა, — მას ჰქონდა ძვირფასი უნარი გაემხნევებინა, ფრთხილად, მე ვიტყოდი, ფაქიზად შეეხსწორებინა დამწყები მწერლის სტრიქონები...

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც, უკვე ავადმყოფი ილო მოსაშვილი თავისი სათაყვანებელი საგნით — ქართული ლიტერატურით ცოცხლობდა. სტუმრად მისულებს გვიყვებოდა თავის შემოქმედებითს ჯიგრებზე, გვიამბობდა მომავალი პიესების შინაარსს, გვიზიარებდა ჩანაფიქრს. რამდენი რამ დაარჩა დაუწერელი, რამდენი ძვირფასი სტრიქონი დაჰკარგა ჩკითხველმა, — იგონებს მწერალი დემნა შენგელაია.

ტრიბუნაზე ერთიანეთს სცვლიან პოეტი ა. მირცხულავა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ბუხნიკაშვილი. ილო მოსაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ა. ბეგაშვილმა.

...დარბაზში სიჩუმეა. დამსწრენი უსმენენ ილო მოსაშვილის შესანიშნავ სტრიქონებს, რომელთაც კითხულობენ მისი უმცროსი ამხანაგები პოეტები შალვა ამისულაშვილი და ნოდარ გურეშიძე. კითხულობენ ისე, როგორც წაიკითხავს მადლიერი შეგირდი მასწავლებლის, ოსტატის ნაწარმოებებს.

უნებლიედ თვალწინ გიდგება ილო მოსაშვილის სტრიქონები, რომლებიც მან საშობლოს უძღვნა:

რაც გითხარ დღემდე,
გულმა დაწერა,
თუ რამე დამრჩა — შვილებს ვასწავლი,
მათ გითხრან სიქმით, გითხრან ტაცურად,
რაც მე ჩემს გზაზე ვერ მოვასწარი!..

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი ხელოვნების ოსტატები.

საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა.

ეგის და ქარიშხლის თანაზიარი

დღეს მას სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ის კი უკვე მეცამეტე წელია, რაც ჩვენგან წავიდა — უდროოდ შემოაღამდა თავისი ლამაზი სიცოცხლის ხვავიანი შუადღე.

და მას, ჩვენი ეპოქის შესანიშნავ მომღერალს, სიკვდილის წინ თამამად შეეძლო გაემეორებინა თავისივე სიტყვები:

როცა ვმღეროდი,
რაც უნდა მეთქვა,
სამშობლოვ ჩემო, შენზე ვმღეროდი!

ჭეშმარიტად — ილო მოსაშვილის ორმოცწლიანი შემოქმედებითი გზა განუყრელად მისდევდა ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის დიდ გზას, ჩვენი ქვეყნის ზრდისა და წინსვლის აღმართს. ილო მოსაშვილი ყოველთვის მხარში ედგა მშობელ ხალხს და თავისი მძლავრი და დაუბერებელი შემოქმედებით ღირსეულადაც დაამკვიდრა ჩვენი დროის გამოჩენილი მწერლის, ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატის სახელი.

„სამშობლოს" — ასე ერქვა ილო მოსაშვილის პირველ ლექსს, რომელიც 1911 წლით არის დათარიღებული.

თავს შემოგვევლე, სამშობლოვ,
ჩემო ლამაზო მხარეო! —

ასეთი იყო თხუთმეტი წლის ჭაბუკი პოეტის პირველივე სიტყვა. ამ ლექსს პოეტი ვაჟა-ფშაველას უძღვნიდა. ჩარგალში დაბადებული მომავალი მწერლის დედა ვაჟა-ფშაველას ნათესავი იყო. ილო მოსაშვილმა ბავშვობა ვაჟას ეზო-კარში გაატარა და მან თავისი დიდი წინამორბედისაგან სიყრმიდანვე ისწავლა მამულის სიყვარული.

ჩარგალში გატარებულ წლებს ილო მოსაშვილი დროდადრო აცოცხლებდა ხოლმე თავის ლექსებში. ქართული პოეზიის შედევრს წარმოადგენს მისი „მოგონება". ვაჟას ჭერქვეშ შესულმა პირველად ნახა „ვეფხისტყაოსანი" — „სამფუხა სკამზე ძველი და მკრთალი იწვა ზონარზე გაჭნილი წიგნი". ვაჟა კითხულობდა შოთას პოემას. ძირს გაფენილ ირმის ტყავზე სამნი ისხდნენ — „ვაჟა-ფშაველა, მე და ზღაპარი". ამ მეტად კოლორიტული ლექსის დასასრულს კალმის ერთი მოსმით დახატულია წარუშლელი და მრავლისმეტყველი სურათი. ვაჟამ დაამთავრა კითხვა, —

რა დაემართა... დაადგო წიგნი,
ერთად მოხუმა ორივე თვალი...
რქებზე წკარუნით ჩამოწყდნენ შიბნი
და ბუხრის თავზე შეირხა ხმალი.
გვიან წამოდგა და მკერდზე, — შიგნით
თუნგით ისხურა არაგვის წყალი.

ამ ორიოდე სტრიქონით პოეტი ძალუმად განგვაცდევინებს რუსთაველის უკვდავი პოემის ძლიერებას, — მისმა წაკითხვამ კედელზე დაკიდებული ხმალიც კი შეარხია, ხოლო მის წამკითხველს ისე აუჩქროლა და აუბაკრწყლიანა გული, რომ მკერდზე არაგვის ცივი წყალი შეასხურებინა.

ფერმწერის ღონიერი ფუნჯი ჰქონდა ილო მოსაშვილს. შეუძლებელია ეს არ იგრძნო მისი ლექსების უბრალო თვალის გადაავლებითაც კი. და ეს ფუნჯი მუდამ შორს იყო ყოველგვარი მანერულობის, ბუნდოვანებისა და ხელოვნურობისაგან. გავიხსენოთ თუნდაც „მონადირული", „ვაჟა— მონადირე", „ოცნება ტყეში", „ღამე ტყეში", „საღამო ორღობეში".

პოეტის ნახატი მუდამ მკაფიოა და კოლორიტული. ამიტომაც არის, რომ მისი პოეზია ყოველთვის ბუნებრივად და ლაღად ჟღერს, ამაღელვებლად, გულში ჩამწყდომად. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ილო მოსაშვილი მადლიანი მოქართველე იყო. იგი ღრმად იყო შეჭრილი ქართული ენის სტიქიაში და მის მთელ სიმდიდრეს დიდი ოსტატობით იყენებდა თავისი პოეტური ჩანაფიქრის გადმოსაცემად.

ილო მოსაშვილი, როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოვლენა ჩვენს ლიტერატურას და იგი გახდა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.



საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე მის სიტყვას სულ სხვა ჟღერადობა მიეცა. პოეტმა **იმ** პირველ დღეებშივე თქვა:

ჩემო დროებავ,
მძლავრად მარწიე, —
შენი აკვანი ლამაზი არი, —
ამომაფრინე როგორც არწივი
მზის და ქარიშხლის თანაზიარი.

თქვა, და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დარჩა მზის და ქარიშხლის თანაზიარად.

ილო მოსაშვილის პოეზია, მთელი მისი შემოქმედება ჩვენი ეპოქის ერთგვარ პოეტურ მატიანეს წარმოადგენს. ქრონოლოგიურად მიპყვებით მის ნაწარმოებებს და ხედავთ და ეცნობით საქართველოს ახალშშენებლობებს — ზაჰესის საძირკვლის ჩაყრას თუ ნაღმებით მკერდშენგრეულ არშის მთას, კოლხეთის დაჭაობებული ველის გაცოცხლებას თუ სამგორის არხის გაყვანას. „ზაჰეს, შენ გიმღერ", „არშაულა", „ლაზნის პირას", „სამგორის ქარო", „მინდვრები ეძახიან პოეტს", „კოლხეთის დილა" და სხვა ლექსები წარმოადგენენ ქართული პოეზიის შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებშიც ოსტატურად არის აღბეჭდილი ჩვენი **ხალხის** დიდი შემოქმედებითი გაჯანება. ახალი ცხოვრების მშენებლობის დაუვიწყარი სურათები. ეს არის ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების, ჩვენს, ულრუბლო ცაზე მოკაშკაშე მზის მშვიდი სხვა ლამაზი ლამაზი. მაგრამ ამ მზეს ქარიშხლის ფრთები გადაეფარა — დაიწყო დიდი სამამულო ომი, და ილო მოსაშვილიც ამ ქარიშხალში ჩადგა და იბრძოდა, იბრძოდა სიტყვითაც და საქმითაც.

მაგონდება ერთი ძველი ფოტოსურათი, რომელიც ამ თრიოდე წლის წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა. მწყობრში ჩამდგარი ჯარისკაცები ყურადღებით უსმენენ ილო მოსაშვილს. იგი ფრონტზე გამგზავრების წინადღეს სიტყვით მიმართავს ქართველ არტილერისტებს, რომელთა პოლკს თვითონვე გადასცა საბრძოლო დროშა. ეს სურათი 1942 წლის მაისშია გადაღებული. მებრძოლი ხელის პოეტი, პატრიოტი და შთაგონებული ხელოვანი ილო მოსაშვილი თვითონაც ბევრჯერ ყოფილა ფრონტის მოწინავე ხაზზე. იგი ეცნობოდა ჩვენი მებრძოლების ცხოვრებას და ალაფრთოვანებდა მათ თავისი ცეცხლოვანი მოწოდებით.

ილო მოსაშვილის მრავალფეროვანი შემოქმედების მთავარი გმირი მუდამ იყო თანამედროვე ადამიანი, მისი მდიდარი სულიერი სამყარო და მისი საქმეების სიდიადე. ჩვენი დროის გმირს ასე მიმართავდა პოეტი:

დგახარ და სადაც მარჯვენას დარგავ,
მზე თავის მადანს ამოალაგებს
და ხელმეორედ მიწაზე ქარგავ
უდაბნოებში წაშლილ ქალაქებს.
ალებ ქვეხალნელებს, ამოგაქვს ზღვები,
მდინარეები აპყარე ქვიშას
და შეგაცქერიან ბებერი მთები,
თითქოს ელიან დაბრძოლის ნიშანს.
თითქოს მინდვრებზე მწყობრი ნადურით
ხნულებს კი არა—აწყობ სტრიქონებს
და წერ კედლებით, რკინით, აგურით
ახალი ქვეყნის ქორონიკონებს.

მრავალფეროვანი იყო ილო მოსაშვილის შემოქმედება. მან დაგვიტოვა ვრცელი პოეტური ეპოსი „ბაზალეთი", რომელშიც წარუშლელი ფერებით დაგვიხატა საქართველოში მეზშვეველების ბატონობის აღსასრული და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. მან ჩვენი **პატარებისათვის** დაწერა მეტად საინტერესო პოემები. მასვე ეკუთვნის სცენარები კინოფილმებისათვის — „არშაულა", „მდინარის იქით", „ორი მეგობარი". ილო მოსაშვილმა დაწერა აგრეთვე საოპერო ლიბრეტო „დიადი გზა", რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთების თემას მიეძღვნა. მანვე დიდი სიყვარულითა და ოსტატობით თარგმნა ვ. მაიაკოვსკის, ხ. ესენინის, ი. კრილოვის, ტ. შევჩენკოს, ი. ფრანკოს, ლუსიო უკრაინკას და სხვათა ლექსები. ამას მიუმატეთ მისი მოთხრობები, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები და, ბოლოს, დრამატული ნაწარმოებები.

ილო მოსაშვილმა სამამულო ომის შემდგომ პერიოდში ჩვენი თეატრის რეპერტუარს ზედიზედ შესძინა" ოთხი პიესა, რომლებმაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

მდიდარი და მრავალფეროვანი იყო გამოჩენილი პოეტის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

1954 წლის აგვისტოში მოულოდნელად გარდაიცვალა ილო მოსაშვილი — ჩვენი დროის შთაგონებული მომღერალი. თავისი შემოქმედების სრულ სიმწიფეში შესულმა ვეღარ მოასწრო ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი. ის კი კიდევ ბევრის თქმას აპირებდა. მაგრამ რაც თქვა, იმითაც დაიმკვიდრა საუკუნო ადგილი ჩვენი ხალხის გულში, ქართული კულტურის ისტორიაში. მთელი საბჭოთა პოეზიის ისტორიაში. ამას კი უკვდავება ჰქვია.

თ. ჯანგულაშვილი.

თბილისს

ილო მოსაშვილი.

ჩვენო წმინდა ალაგო,
ქართლის ციხე-ქალაქო,
შენ რუსთველის ენაზე მტკვარი გედუდუნება:
რამდენ ცრემლებს გაწვიმდა
დიდუბე და მთაწმინდა,
რამდენ ნახმლევს გირჩენდა შენი დედაბუნება!
გორგასალის ხოხობმა დაგიფერა ცისკარი,
ზედ დაგაკვდა სამასი არაგველის მარჯვენა.

მერე ცეცხლი უკვდავი, ცეცხლი დაუვიწყარი
ოქტომბერმა დაანთო ხალხის გადასარჩენად!
ჩვენო წმინდა ალაგო,
დედა-თბილისი ქალაქო,
ვის არ ხიბლავს სიტურფე შენი მთის და მდელოსი!
შენ მზის თვალმა დაგბატა,
ჩვენს ოცნებად გაგხადა,
შენ ხარ ჩაუქრობელი გული საქართველოსი!

მეზობელ აფხაზეთში

ღვაწლმოსილი მკურნალის იუბილე

დღეს, 24 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და გაერთიანებული სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოება აწყობენ საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს უროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ხოკრატ იაკობისძე არშბას დაბადების 60, სამეცნიერო-პრაქტიკული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 36 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას.

ღვაწლმოსილი მკურნალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოახსენებით გამოვა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი შ. გოგობია.

წიგნი აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ისტორიაზე

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ალაშარამ" ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **დ. გოგობიას** მონოგრაფია **„საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაცია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში"** 1959-1965 წწ. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ხვარაცია.**

ბოკლედ

ბიჭვინთა. აქ დაიწყო ხილის წვენის ქარხნის მშენებლობა. წარმოება აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 200 ათას დეკალიტრ ხილის წვენს.

ნორჩ მათემატიკოსთა საღამო

გალი. (ხაკ. კორ.). ქალაქის მესამე საშუალო სკოლაში გაიმართა მათემატიკური საღამო. ნორჩმა მათემატიკოსებმა დ. ხორავამ, ს. ვადელიამ, ს. აკობიამ წაიკითხეს საინტერესო მოხსენებები. ასეთი საღამოები ხშირად იმართება სკოლაში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს მათემატიკური საგნების სწავლის დონის ამაღლებაში. სკოლაში სისტემატიურად გამოდის „ედლის" გაზეთი „ნორჩი მათემატიკოსები".

დეკორაციული მებაღეობის შავი ზღვის კომბინატის ახალი ათონის მეურნეობის კოლექტივი სისტემატურად გზავნის ცოცხალ ყვავილებს მოსკოვის მშრომელებისათვის.

სურათზე: მეურნეობის მუშები მოსკოვში გასაგზავნ ყვავილებს უუთებში ალაგებენ.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

სხვა გაზეთებიდან

სიყვარული 125 წლის ასაკში

„ხულ რაღაც 126 წლისა ვარ. რა, ბევრია? მე ოდესმ მაქვს „დავეწიო" ყველაზე უხუცეს ადამიანს დედამიწაზე — შირ-ალი-ბაბა მისლიმოვს — აზერბაიჯანელს საბჭოთა კავშირიდან", — ასე დაიწყო თავისი ამბავი ერთ-ერთმა უხუცესმა პაკისტანელმა — საბრუდინ მეხალმ. მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცი ამას წინათ ეხაუბრა პაკისტანელ ჟურნალისტს ახმად ზაფარ ხანს.

მას მართლაც რომ უიმშვიათესი პროფესია აქვს თავისი ხანდაზმული ასაკისათვის. საბრუდინ მეხალი ექიმია. მან დაამთავრა ლაჰორის სამედიცინო სკოლა, 60 წელზე მეტი იმსახურა ექიმად ინდოეთის არმიაში. დღემდე არ მიუტოვებია საექიმო პრაქტიკა, თუმცა ახლა მხოლოდ თანასოფლელებს მკურნალობს მშობლიურ ჩაგ რეიბში, გუჯარათის ოლქში. იგი წერს რეცეპტებს და ბიხი ხელწერა ბევრი ახალგაზრდა ექიმისას როდი ჰგავს — მკაფიოა და აკურატული.

სამოცი წლისა, 1900 წელს, იგი შეხვდა 16 წლის ჩინელ ქალიშვილს და ცოლად შეირთო. მას შემდეგ, უკვე 66 წელია ისინი ერთად ცხოვრობენ. სამი ვაჟი, ოთხი ქალიშვილი — პაკისტანელის ჩვეულებრივი ოჯახია. მთელი 126 წლის განმავლობაში იგი არცერთხელ არ გამხდარა ავად. ახალგაზრდობაში გატაცებული ყოფილა სპორტით — ფეხბურთით, ჰოკეით. 80 წლის წინათ მეხალმა სავსებით მიატოვა თამბაქოს წევა, მანამდე კი გამუდმებით ეწეოდა. სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გაწყინა ალკოჰოლი და ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ იარით გამოწვეული ტკივილი დაეყუჩებინა.

მეხალს დღეღამეში 8-9 საათი ძინავს; თუმცა წინათაც ამდენივე ხანი ეძინა. ზამთარ-ზაფხულ რეგულარულად სეირნობს — ფეხით გადის სამ მილს. მშვენიერი მადა აქვს, მაგრამ სრულიად არ ეკვეთის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ზ. ვადაჭარიას ეკითხებოდნენ:

— ყველას შეუძლია ასეთი ფეხსაცმლის დაკვეთის მიცემა? სად არის ეს სახელოსნოები?

ინჟინერი ყველას თავაზიანად უპასუხებდა, მისამართებს აწერინებდა და თან იმასაც დასძენდა, რომ ამ მოდელების გარდა მათ შეუძლიათ თავიანთი გემოვნებითაც მისცენ დაკვეთა.

დაიწყო ტანსაცმლის მოდელების დემონსტრირება. ცალკეულმა ატელიეებმა და სახელოსნოებმა წარმოადგინეს მამაკაცის, ქალის, ბავშვის ყველა სახის ტანსაცმლის 116 მოდელი. ტანსაცმლის დემონსტრირება ხდებოდა ცოცხალი მანეკენების მეშვეობით.

თითქმის ყველა წარმოდგენილი მოდელი შესრულებული იყო მაღალი ოსტატობით. დიდი გემოვნებით. ზოგიერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა გარეგნული მოხდენილობით. ამას ადასტურებდა ის, რომ ამ მოდელს მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით აჯილოყებდა.

ნამუშევრები წარმოდგენილი იყო დეკანოზით. შეფასება და ჯილდოების მიკუთვნება ხდებოდა ფარული კენჭისყრით. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ამ საქმის გამოცდილი ოსტატები და სპეციალისტები.

ჟიურიმ დათვალიერებაზე წარმოდგენილი მამაკაცთა კოსტიუმების მოდელებიდან პირველი ადგილი მიაკუთვნა და დიპლომები გადასცა მამაკაცის კოსტიუმის გამომჭრელ-მოდელიერებს პ. თევზოსიანს და ა. მარქარიანს (№ 1 ფაბრიკა), მამაკაცის ლაბადის გამომჭრელ-მოდელიერებს ზ. ტოგონიძეს (მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანება) და პ. თევზოსიანს (№ 1 ფაბრიკა), ქალის საშემოდგომო პალტოების მოდელებს ავტორებს ც. ბერიაშვილს (№ 2 ფაბრიკა) და მ. სარქისიანს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კაბის ახალი ტანსაცმლის მოდელების ავტორებს ნ. ჩოფიკაშვილს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კოსტიუმის გამომჭრელ-მოდელიერებს ხ. დავთიანს და მ. სარქისიანს (№ 1 ფაბრიკა), ბიჭის სათხილამურო კოსტიუმის მოდელის შემქმნელს ზ. მაგიევას (№ 2 ფაბრიკა) და ე. ელიაოვის (მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანება), ქალის კაბის (ნაქსოვი) მოდელის შემქმნელს ც. ეძგვერაძეს (№ 1 ფაბრიკა), ქალის ორმხრივი საშემოდგომო პალტოს მოდელის ავტორს ვ. დავითაშვილს (№ 1 ფაბრიკა), ბავშვის კაბის გამომჭრელ-მოდელიერს ა. ფილიპენკოს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კაბის (ნაქსოვი) მოდელის შემქმნელს ა. არზუმანიანს (№ 1 ფაბრიკა).

დანარჩენი მოდელების ავტორებმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

დემონსტრირებული იყო აგრეთვე ფეხსაცმლის 51 მოდელი. აქედან ექვსმა 21 მოდელის ავტორებს პირველი ადგილი **და** დიპლომები მიეკუთვნა.

მოდების ცოცხალ მანეკენებზე დემონსტრირებით მნახველები დიდად მოეწონა.

• • •

ამ ხურათებზე თქვენ ხედავთ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის საუკეთესო მოდელებს, რომელთა საჯარო დემონსტრირების დროს მათმა ავტორებმა პირველი ადგილი დაიკავეს და დიპლომები დაიმსახურეს. მარცხნიდან მარჯვნივ: ქალის კოსტიუმი (მოდელიერი ხ. დავთიანი), მამაკაცის ლაბადა (მოდელიერი ზ. ტოგონიძე), ქალის საშემოდგომო პალტო (მოდელიერი მ. სარქისიანი), ქალის კაბა (მოდელიერი ჯ. ჩოფიკაშვილი), ბავშვის კაბა (მოდელიერი ა. კალიაგინა), ქალის კაბა — ნაქსოვი (მოდელიერი ც. ეძგვერაძე), მამაკაცის კოსტიუმი (მოდელიერი პ. თევზოსიანი), ქალის ორმხრივი საშემოდგომო პალტო (მოდელიერი ვ. დავითაშვილი), ქალის სამნაჭრიანი კოსტიუმი (მოდელიერი ვ. ლასკინი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩაიცვით, თბილისურია!

თბილისში ხშირად შეხვდებით ლამაზად, გემოვნებით ჩაცმულ მამაკაცსა **და** ქალს, ბავშვს. **და როცა** ვიგულვებთ, რომ ეს **ტანსაცმელი** თბილისის ინდივიდუალური დაკვეთების ატელიეებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების სახელოსნოებში არის დამზადებული, არც კი გკვრა, გიკვირს, **თუმცა** ფაქტია, რომ ახლა თბილისში ბევრი კარგი ოსტატია, რომელთა **ნახელავი** მოსწონთ. მათ ბევრი **კლიენტი** ჰყავთ, **მაგრამ** ყველა **ფიდი** იცნობს **მათ,** ყველამ **როდი იცის სად** მუშაობენ ისინი.

კარგი საქმე გააკეთეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ და პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა, როცა 17-18 დეკემბერს ძველინსკის სახელობის კლუბში მოაწყეს ყველა სახის ტანსაცმლის — **ტრი**კოტაჟის, ბეწვეულის მოდების დემონსტრირება, მოდელერი ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო **მომსახურ**ების სახელოსნოების **მიერ** გამოშვებული პროდუქციის გამოფენა.

დღის თორმეტ საათზე კლუბი ხალხით იყო სავსე. აქ ნახავდით ყველა ასაკის ადამიანებს. მათ სურდათ თვალით თვალი ენახათ თბილისის ატელიეებსა და სახელოსნოებში მოღვაწე ოსტატების **მიერ** მაღალი გემოვნებით შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი.

გამოფენაზე გამოტანილმა ფეხსაცმელმა მნახველზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრს არც კი სჯეროდა, თუ ასეთი ლამაზი, მსუბუქი და მოხდენილი ფეხსაცმელი თბილისის ინდივიდუალური დაკვეთის სახელოსნოებში იყო შეკერილი. დამთვალიერებელნი ფეხსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ზ. ვადაჭარიას ეკითხებოდნენ:

— ყველას შეუძლია ასეთი ფეხსაცმლის დაკვეთის მიცემა? სად არის ეს სახელოსნოები?

ინჟინერი ყველას თავაზიანად უპასუხებდა, მისამართებს აწერინებდა და თან იმასაც დასძენდა, რომ ამ მოდელების გარდა მათ შეუძლიათ თავიანთი გემოვნებითაც მისცენ დაკვეთა.

დაიწყო ტანსაცმლის მოდელების დემონსტრირება. ცალკეულმა ატელიეებმა და სახელოსნოებმა წარმოადგინეს მამაკაცის, **ქალის,** ბავშვის ყველა სახის ტანსაცმლის 116 მოდელი. ტანსაცმლის დემონსტრირება ხდებოდა ცოცხალი მანეკენების მეშვეობით.

თითქმის ყველა წარმოდგენილი მოდელი შესრულებული იყო მაღალი ოსტატობით. დიდი გემოვნებით. ზოგიერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა გარეგნული მოხდენილობით. ამას ადასტურებდა ის, რომ ამ მოდელს მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით აჯილოყებდა.

ნამუშევრები წარმოდგენილი იყო დეკანოზით. შეფასება და ჯილდოების მიკუთვნება ხდებოდა ფარული კენჭისყრით. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ამ საქმის გამოცდილი ოსტატები და სპეციალისტები.

ჟიურიმ დათვალიერებაზე წარმოდგენილი მამაკაცთა კოსტიუმების მოდელებიდან პირველი ადგილი მიაკუთვნა და დიპლომები გადასცა მამაკაცის კოსტიუმის გამომჭრელ-მოდელიერებს პ. თევზოსიანს და ა. მარქარიანს (№ 1 ფაბრიკა), მამაკაცის ლაბადის გამომჭრელ-მოდელიერებს ზ. ტოგონიძეს (მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანება) და პ. თევზოსიანს (№ 1 ფაბრიკა), ქალის საშემოდგომო პალტოების მოდელებს ავტორებს ც. ბერიაშვილს (№ 2 ფაბრიკა) და მ. სარქისიანს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კაბის ახალი ტანსაცმლის მოდელებს ავტორებს ნ. ჩოფიკაშვილს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კოსტიუმის გამომჭრელ-მოდელიერებს ხ. დავთიანს და მ. სარქისიანს (№ 1 ფაბრიკა), ბიჭის სათხილამურო კოსტიუმის მოდელის შემქმნელს ზ. მაგიევას (№ 2 ფაბრიკა) და ე. ელიაოვის (მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანება), ქალის კაბის (ნაქსოვი) მოდელის შემქმნელს ც. ეძგვერაძეს (№ 1 ფაბრიკა), ქალის ორმხრივი საშემოდგომო პალტოს მოდელის ავტორს ვ. დავითაშვილს (№ 1 ფაბრიკა), ბავშვის კაბის გამომჭრელ-მოდელიერს ა. ფილიპენკოს (№ 1 ფაბრიკა), ქალის კაბის (ნაქსოვი) მოდელის შემქმნელს ა. არზუმანიანს (№ 1 ფაბრიკა).

დანარჩენი მოდელების ავტორებმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

დემონსტრირებული იყო აგრეთვე ფეხსაცმლის 51 მოდელი. აქედან ექვსმა 21 მოდელის ავტორებს პირველი ადგილი **და** დიპლომები მიეკუთვნა.

მოდების ცოცხალ მანეკენებზე დემონსტრირებით მნახველები დიდად მოეწონა.

• • •

ამ ხურათებზე თქვენ ხედავთ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის საუკეთესო მოდელებს, რომელთა საჯარო დემონსტრირების დროს მათმა ავტორებმა პირველი ადგილი დაიკავეს და დიპლომები დაიმსახურეს. მარცხნიდან მარჯვნივ: ქალის კოსტიუმი (მოდელიერი ხ. დავთიანი), მამაკაცის ლაბადა (მოდელიერი ზ. ტოგონიძე), ქალის საშემოდგომო პალტო (მოდელიერი მ. სარქისიანი), ქალის კაბა (მოდელიერი ჯ. ჩოფიკაშვილი), ბავშვის კაბა (მოდელიერი ა. კალიაგინა), ქალის კაბა — ნაქსოვი (მოდელიერი ც. ეძგვერაძე), მამაკაცის კოსტიუმი (მოდელიერი პ. თევზოსიანი), ქალის ორმხრივი საშემოდგომო პალტო (მოდელიერი ვ. დავითაშვილი), ქალის სამნაჭრიანი კოსტიუმი (მოდელიერი ვ. ლასკინი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მინისძვრა უზბეკეთის სამხრეთში

22 დეკემბერს საღამოს უზბეკეთის სამხრეთში მოხდა მიწისძვრა, რომლის ძალა იყო დაახლოებით ხუთი ბალი. მიწისძვრის ეპიცენტრია ავღანეთის საზღვრის მახლობლად ბაისუნის მთებში (გისარის მთაგრეხილის განშტოება). მიწისქვეშა სტიქიის ეს აფეთქება აღნიშნეს ტაშკენტის, სამარყანდისა და შუა აზიის სხვა ქალაქების სეისმურმა სადგურებმა. სამარყანდში, დუშანბესა და ყულაბში, მაგალითად, იგრძნობოდა დაახლოებით სამბალიანი მიწისქვეშა ბიძგები.

ბაისუნის მთების რაიონი მეტად აქტიურ სეისმური ზონაა. 1907 წელს აქ მოხდა ცხრაბალიანი მიწისძვრა. (საკდესი).

გოლიათები ფიცარნაგზე

აშხაგადში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება ძალოსნობაში.

უკანასკნელ დღეს პაეკრობა ჰქონდათ მძიმე წონის შტანგისტებს. პირველ მძიმე წონაში უძლიერესი იყო მოსკოველი ნ. მირონენკო (490 კილოგრამი), მეორე მძიმე წონაში — ვ. ანდრეევი (რსფსრ, 520 კილოგრამი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა რსფსრ-ის ძალოსანთა კოლექტივი. უკრაინელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, მოსკოვის გუნდი მესამე იყო.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

მადრიდში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვეფინალური დამატებითი მატჩი ფეხბურთში მადრიდის „ატლეტიკოსსა" და იუგოსლავიის „ეროვნულს". გუნდებს შორის, თამაში, 120 წუთს გრძელდებოდა და დამთავრდა იუგოსლავიელთა გამარჯვებით 3:2. „ეროვნულმა" მეოთხედფინ